საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/56 " 22 " მაისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ. წიკლაურის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, მამუკა წიკლაური 2017 წლის 25 მაისიდან გამწესდა თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2017 წლის 25 მაისიდან 2020 წლის 25 იანვრამდე პერიოდში მამუკა წიკლაურის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (თ. ონიანი; დ. გვრიტიშვილი; რ. ნადარაია) და სამი არამოსამართლე (ლ. გზირიშვილი; ი. გელაშვილი; შ. ქადაგიძე) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ხუთი წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო ერთი წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე მამუკა წიკლაურის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 500 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 83,33%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (**მომხრე:** ი. ბონდარენკო; ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; დ. გვრიტიშვილი; ნ. მარსაგიშვილი; გ. მიქაუტაძე; ვ. მშვენიერაძე; რ. ნადარაია; თ. ონიანი; შ. ქადაგიძე; ი. შენგელია; ნ. ჯანეზაშვილი; ზ. ხარებავა. **წინააღმდეგი:** ა. დოლიძე) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მამუკა წიკლაური 2020 წლის 25 მაისიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი